დამტკიცებულია:

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია

ბიდისის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის

N 9 ბრძანებით

# ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი

# სტრატეგიული გეგმა

# 2025-2031

*თბილისი 2025*

## *წინასიტყვაობა*

სტრატეგიული გეგმა (შედეგში „გეგმა“) შემუშავებულია ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის (შემდეგში „აკადემია“) სამუშაო ჯგუფის მიერ, წარმოადგენს აკადემიის ხედვას, მისი 2025-2031 წლებში განვითარების ძირითად სტრატეგიას, შესაბამისობაშია აკადემიის მისიასა და მიზნებთან.

გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სახელმწიფო სტრატეგია, საერთაშორისო და ადგილობრივი შრომის ბაზრის ტენდენციები.

სტრატეგიული გეგმა მოქნილი დოკუმენტია და მისი მოდიფიცირება შესაძლებელია ქვეყანაში არსებული რეალობისა და განათლების სფეროში განხორციელებული სიახლეების შესაბამისად;

### *აკადემიის რეკვიზიტები:*

| |
|---|
| **დასახელება:** |
| *ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ,,ბიდისი”* |
| **სამართლებრივი ფორმა:** |
| არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი |
| **საიდენტიფიკაციო კოდი:** |
| 400306860 |
| **მისამართი** |
| ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის N 189 |
| **აკადემიის დამფუძნებელი/დირექტორი** |
| ათია შათირიშვილი |
| **ინტერნეტ-სივრცეში მისამართები:** |
| *ვებგვერდი: https://bdc-academy.ge* |
| **სოციალური ქსელი:** |
| *https://www.facebook.com/BDCAcademy/?locale=ka_GE* |
| **საკონტაქტო:** |
| ტელ.: + 995 593 252 508 |
| **ელექტრონული ფოსტა** |
| *BDC.academy@gmail.com* |

**მისია:**

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის მისიაა მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მრავალპროფილური, კვალიფიციური, ინტელექტუალური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.

**ხედვა:**

2028 წლისთვის ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი წარმოადგენდეს განათლების ჰაბს, რომელიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ, უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს. იქნება ადგილი, სადაც ადამიანები საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას შეძლებენ, გამოიმუშავებენ პროფესიულ უნარებს და გახდებიან შრომის ბაზრის მოთხოვნადი სპეციალისტები.

**ღირებულებები:**

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის ღირებულებებია

ორიენტირებულობა :

- ხარისხზე
- ინტელექტუალურ განვითარებაზე
- პროფესიონალიზმზე
- ინოვაციურობაზე
- გუნდურობაზე
- ტოლერანტულობაზე
- ინკლუზიურობაზე
- სამართლიანობაზე
- სოციალურ პასუხისმგებლობაზე

## *ბაზრის ანალიზი, თავისებურებები და ტენდენციები*

**საერთაშორისო განათლების აკადემია BDC** არის მრავალპროფილური სასწავლო დაწესებულება, რომელიც უკვე **17 წელია** წარმატებით ფუნქციონირებს. აკადემიისადმი

მაღალი ინტერესისა და მოთხოვნის მთავარი მიზეზი არის მისი მრავალფეროვანი პროგრამები, რომლებიც მუდმივად შეესაბამება თანამედროვე ბაზრის საჭიროებებს.

თანამედროვე შრომის ბაზარზე მუდმივად ჩნდება **ახალი მოთხოვნები**. აკადემია აქტიურად ერგება ამ გამოწვევებს და ცდილობს ოპერატიულად უპასუხოს როგორც მომხმარებელთა, ისე საზოგადოების საჭიროებებს.

**მსმენელთა დაინტერესება აკადემიის სხვადასხვა მიმართულებით მუდმივად იზრდება**, რასაც განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

- ხარისხიან და პროფესიულ განათლებაზე მზარდი მოთხოვნა;
- პიროვნული და კარიერული განვითარებისაკენ სწრაფვა;
- საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი განათლების მიღების საჭიროება;
- კონკურენტუნარიანი, ინტელექტუალური და კვალიფიციური სპეციალისტების საჭიროება.

BDC აკადემია მტკიცედ მიიჩნევს, რომ **განათლება უნდა იყოს თანამედროვე, პრაქტიკული და მოთხოვნად ბაზარზე მორგებული**, რათა თითოეულმა ჩართულმა პირმა მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები და წარმატებით მოიპოვოს პროფესიული აღიარება.

## *კონკურენტები და საგანმანათლებლო ბაზარი*

*თანამედროვე საზოგადოებაში მაღალკვალიფიციური სპეციალობების დაუფლების მოთხოვნა უწყვეტად იზრდება. ამას ადასტურებს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების პროვაიდერების სიმრავლე. მაღალი ინტერესი განპირობებულია იმ ფაქტორებით, როგორიცაა მარტივი დასაქმების შესაძლებლობა ან/და სამეწარმეო საქმიანობის დაწყება, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს.*

*საერთაშორისო განათლების აკადემია BDC-ის უპირატესობა არის მისი 17-წლიანი გამოცდილება, მრავალპროფილურობა და სტუდენტზე მორგებული სწავლების გარემო.*

*აკადემია* ***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს თანამედროვე ტენდენციებისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით****, რაც მოიცავს:*

- ***აქტუალურ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ სასწავლო მასალებს;***
- ***საჭირო პროფესიულ აღჭურვილობასა და ინსტრუმენტებს;***
- ***კომპეტენციებზე დაფუძნებულ ხარისხიან სასწავლო და პროფესიულ პრაქტიკას***

*ეს ყველაფერი უზრუნველყოფს, რომ* ***აკადემიის კურსდამთავრებულები მზად იყვნენ წარმატებული კარიერისთვის თანამედროვე შრომის ბაზარზე****.*

## *დაინტერესებული მხარეები და პარტნიორები*

დასახული მიზნების მისაღწევად აკადემიის ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებთან, კონკურენტებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან. მიუხედავად ფართო თანამშრომლობისა, აკადემიის საქმიანობის მთავარი ფოკუსი პროფესიულ სტუდენტებზე და მსმენელებზე რჩება.

აკადემია მუდმივად ახორციელებს დაინტერესებული მხარეების მოლოდინებისა და მოთხოვნების კვლევას, რის საფუძველზეაც განავრცობს და აუმჯობესებს საგანმანათლებლო მომსახურებას, ადგენს მაკორექტირებელ ღონისძიებებს და სახავს სტრატეგიულ განვითარების მიზნებს.

**პარტნიორული ურთიერთობები აკადემიის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა**. აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობს:
**მედიასთან**– საგანმანათლებლო პროექტებისა და ინფორმაციის ფართოდ გავრცელებისთვის
**საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან** – ერთობლივი ინიციატივებისა და დაფინანსებული პროგრამების განსახორციელებლად
**სოციალური ჯგუფების მხარდაჭერისთვის** – სხვადასხვა სტატუსის მქონე ბენეფიციარების (მიგრანტები, სოციალურად დაუცველები, დევნილები) პროფესიული მომზადებისა და გადამზადებისთვის

აკადემია აქტიურად მონაწილეობს საქართველოს მთავრობის სხვადასხვა პროექტებში, ინიციატივებში. პროფესიული მომზადება-გადამზადების, სასერტიფიკატო პროგრამის ფარგლებში აკადემიამ უკვე გადაამზადა მრავალი ბენეფიციარი, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ პროფესიულ საქმიანობას.

## *საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, გეოგრაფიული და დემოგრაფიული მაჩვენებლები*

აკადემია საკმაოდ მაღალი პოპულარობით სარგებლობს ქვეყნის და არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, რასაც ხელს უწყობს მრავალწლიანი გამოცდილება და მაღალი რეპუტაცია.




**ძლიერი მხარეები**

- **მაღალი რეპუტაცია** – აკადემია წარმატებით ფუნქციონირებს 17 წლის განმავლობაში და დამკვიდრებულია განათლების სფეროში
- **ლიდერის პოზიცია** – გამორჩეული ადგილი განათლების სივრცეში
- **კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება** – თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება
- **დასაქმების მაღალი მაჩვენებელი** – კურსდამთავრებულთა წარმატებული კარიერული გზა
- **მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ინსტრუქტორები** – პროფესიონალი განმახორციელებელთა გუნდი
- **თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა** – სწავლების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა
- **აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან** – ჩართულობა შოუებსა და სოციალურ პროექტებში

- **არაფორმალური განათლების აღიარება** – ცოდნისა და უნარების მრავალმხრივი შეფასება

სუსტი მხარეები

- **საკუთარი შენობის არქონა** – ინფრასტრუქტურული დამოკიდებულება
  **მატერიალური-ფინანსური დამოუკიდებლობის ნაკლებობა** – დაფინანსების ალტერნატიული წყაროების საჭიროება
- **საერთაშორისო ურთიერთობების სიმწირე** – პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობის ნაკლებობა

შესაძლებლობები

- **დონორებისა და დაფინანსების მოძიება** – ფინანსური მდგრადობის გაძლიერება
- **სასერტიფიკატო პროგრამების განვითარება** – პროფესიული გადამზადების პროგრამების გაფართოება
- **პროგრამების დივერსიფიკაცია** – ახალი სპეციალობების შეთავაზება
- **კარიერული მხარდაჭერა** – კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობა
- **სტუდენტებისა და მასწავლებლების მოტივაცია** – ტრენინგებში, კონკურსებსა და პროექტებში მათი აქტიური ჩართვა
- **დამატებითი საგანმანათლებლო სერვისები** – სწავლების ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა

საფრთხეები/რისკები

- **ცვალებადი ეკონომიკური გარემო** – ბაზრის არასტაბილურობა
- **დემოგრაფიული და სოციალური გამოწვევები** – მოსახლეობის რაოდენობრივი და ეკონომიკური ცვლილებები

# *სტრატეგიული მიზნები და ამოცანები*

**სტრატეგიული მიზანი 1.**

**ორგანიზაციული შესაძლებლოებების განვითრება**

1.1. მართვის სისტემის ოპტიმიზაცია და ფინანსური მდგრადობის გაძლიერება

1.2. ინფრასტრუქტურული განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება

1.3. ადამიანური რესურსის განვითრება

1.4. ხმს დანერგვა და განვითარება

**სტრატეგიული მიზანი 2.**

**საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის განვითარება**

2.1. სწავლების მეთოდების, სასწავლო რესურსების განვითარება

2.2. შეფასების სისტემის სრულყოფა განვითარება

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარება

2.4. თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში

**სტრატეგიული მიზანი 3.**

***მომხმარებელზე ორიენტირებულობა და ინოვაციური სერვისების განვითარება***

3.1. მომხმარებლის საჭიროებების და მოლოდინების კვლევის, უკუკავშირის მექანიზმების განვითარება

3.2. ადმინისტრაციული სერვისების განვითარება

3.3. ინკლუზიური გარემოს განვითარება

3.4. პროფორიენტაციისა და დასაქმების ხელშეწყობა

**სტრატეგიული მიზანი 4.**

***საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება***

4.1. პარტნიორული ქსელის გაფართოება და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

4.2. პროფესიული, შემოქმედებითი და კულტურული პროექტების განხორციელება

4.3. სტუდენტური ინიციატივების წახალისება და ექსტრაკურიკულური პროექტების განხორციელება

**4.4. აკადემიის პოპულარიზაცია/საიმიჯო ღონისძიებების განხორციელება**

## *სტრატეგიული მიზნების მიღწევის გეგმა*

| სტრატეგიული მიზანი 1. ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ამოცანები** | **2025** | **2026** | **2027** | **2028** | **2029** | **2030** | **2031** | **შესრულების ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი პირი** |
| 1.1 | მართვის სისტემის ოპტიმიზაცია და ფინანსური მდგრადობის გაძლიერება | ✱ | ს[1] | ს | ს | ს | ს | ს | • გაუმჯობესებულია ადმინისტრაციული პროცესების მართვის ეფექტიანობა.<br>• დამუშავებულია და დანერგილია ელექტრონული მართვის ახალი მექანიზმები.<br>• გაუმჯობესებულია თანამშრომლებისა და სტუდენტების კმაყოფილების დონე (კვლევების საფუძველზე).<br>• მოზიდულია დამატებითი ფინანსური რესურსები ახალი წყაროებიდან.<br>• გაზრდილია საგანმანათლებლო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.<br>• ოპტიმიზირებულია ბიუჯეტის ხარჯვა, მიღწეულია დანაზოგი. | • დირექტორი |
| 1.2 | ინფრასტრუქტურული განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | • განახლებულია სასწავლო და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა.<br>• შეძენილია და დანერგილია ახალი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.<br>• გაუმჯობესებულია სასწავლო გარემოს შესაბამისობა თანამედროვე სტანდარტებთან.<br>• გაზრდილია სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების დონე ინფრასტრუქტურული პირობებით.<br>• შესრულებულია დაგეგმილი სარემონტო და მოდერნიზაციის პროექტები. | • დირექტორი<br>• ფინანსური და მატერიალური რესურსების მენეჯერი |
| 1.3 | ადამიანური რესურსების განვითარება | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | • გაზრდილია თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებული ტრენინგებისა და სემინარების რაოდენობა.<br>• გაუმჯობესებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობები.<br>• გაზრდილია თანამშრომლების მიერ მიღებული სერტიფიკატების რაოდენობა.<br>• გაუმჯობესებულია პერსონალის სამუშაოს შესრულების შეფასების სისტემის ეფექტიანობა. | • დირექტორი<br>• საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი |

[1] "ს" აღნიშნულია ამოცანა, რომელიც შესაძლებელია გახდეს შესასრულებლად საჭირო, ასეთ შემთხვევაში კონკრეტულ სამოქმედო გეგმაში გადავა როგორც სავალდებულო.

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | • გაზრდილია თანამშრომლების ჩართულობისა და კმაყოფილების დონე. | |
| 1.4 | ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა და განვითარება | * | * | * | * | * | * | * | • დანერგილია ხარისხის მართვის ახალი მექანიზმები და ინსტრუმენტები.<br>• გაუმჯობესებულია საგანმანათლებლო პროცესების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.<br>• შესრულებულია შიდა და გარე შეფასების პროცედურები დადგენილი გეგმის მიხედვით.<br>• გაზრდილია სტუდენტებისა და პარტნიორი ორგანიზაციების კმაყოფილების მაჩვენებელი.<br>• დოკუმენტირებულია და დანერგილია ხარისხის მართვის პროცესების ოპტიმიზაციისთვის საჭირო ცვლილებები. | • ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი |
| **სტრატეგიული მიზანი 2. საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის განვითარება** | | | | | | | | | | |
| | **ამოცანები** | **2025** | **2026** | **2027** | **2028** | **2029** | **2030** | **2031** | **შესრულების ინდიკატორი** | |
| 2.1 | სწავლების მეთოდების, სასწავლო რესურსების განვითარება | * | ს | ს | * | ს | ს | ს | • განვითარებულია და დანერგილია თანამედროვე სწავლების მეთოდები.<br>• გაუმჯობესებულია სასწავლო პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.<br>• შექმნილია და განახლებულია თანამედროვე სასწავლო რესურსები (მულტიმედიური, ციფრული და ბეჭდური მასალები).<br>• გაუმჯობესებულია სტუდენტების აკადემიური წარმატების და ჩართულობის მაჩვენებლები. | • სასწავლო პროცესის მენეჯერი<br>• პროგრამის ხელმძღვანელები |
| 2.2 | შეფასების სისტემის სრულყოფა განვითარება | * | ს | ს | ს | ს | ს | ს | • გაუმჯობესებულია შეფასების მეთოდების მრავალფეროვნება და შესაბამისობა სწავლების მიზნებთან.<br>• დანერგილია სტუდენტზე ორიენტირებული და ფორმატივი შეფასების ახალი მიდგომები.<br>• გაზრდილია შეფასების პროცესის გამჭვირვალობა და ობიექტურობის დონე.<br>• განახლებულია ინსტრუმენტები თანამედროვე სტანდარტების მიხედვით.<br>• გაუმჯობესებულია უკუკავშირის სისტემა სტუდენტებისთვის, მათ შორის ინდივიდუალური პროგრესის ანალიზი. | • სასწავლო პროცესის მენეჯერი<br>• პროგრამის ხელმძღვანელები |
| 2.3 | საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარება | ს | ს | ს | ს | ს | ს | ს | • შექმნილია და განახლებულია ახალი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.<br>• გაზრდილია ინტეგრირებული სწავლების მოდელების გამოყენება (თეორია + პრაქტიკა).<br>• გაუმჯობესებულია პროგრამების შინაარსი, მათ შორის დარგობრივი | • სასწავლო პროცესის მენეჯერი<br>• პროგრამის ხელმძღვანელები |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | უნარ-ჩვევების განვითარების გაძლიერება.<br>• განვითარებულია ელექტრონული სასწავლო რესურსები პროგრამების ფარგლებში.<br>გაზრდილია პროგრამების იურიდიული და აკრედიტაციის მოთხოვნებისთვის შესაბამისობა. | |
| 2.4 | თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში | ✱ | ს | ს | ს | ს | ს | ს | • დანერგილია თანამედროვე IT ტექნოლოგიები როგორც ადმინისტრაციულ, ისე სასწავლო პროცესებში (მაგ. ელექტრონული მართვის სისტემები;<br>• გაზრდილია ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესის დისტანციურ და ჰიბრიდულ ფორმატში.<br>• გაუმჯობესებულია ციფრული რესურსების გამოყენების ეფექტიანობა როგორც პროგრამის განმახორციელებელი პირების, ისე სტუდენტების მხრიდან.<br>• შექმნილია სპეციალიზებული პლატფორმები და პროგრამები კოლეჯის ადმინისტრაციისთვის (მაგ. სტუდენტების მონიტორინგი, ანგარიშგება).<br>• გაზრდილია თანამშრომლებისა და სტუდენტების ციფრული კომპეტენციის დონე ტექნოლოგიების გამოყენებაში. | • დირექტორი<br>• სასწავლო პროცესის მენეჯერი<br>• პროგრამის ხელმძღვანელები |
| **სტრატეგიული მიზანი 3. მომხმარებელზე ორიენტირებულობა და ინოვაციური სევრისების შეთავაზება** | | | | | | | | | | |
| | **ამოცანები** | **2025** | **2026** | **2027** | **2028** | **2029** | **2030** | **2031** | **შესრულების ინდიკატორი** | |
| 3.1. | მომხმარებლის საჭიროებების და მოლოდინების კვლევის, უკუკავშირის მექანიზმების განვითარება | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | • განმახორციელებელია მომხმარებლის (სტუდენტების, პოტენციური სტუდენტების, მშობლების, პარტნიორების) საჭიროებებისა და მოლოდინების სისტემატიური კვლევა.<br>• შექმნილია უკუკავშირის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მომხმარებლის პოზიტიური და უარყოფითი გამოხმაურების ;<br>• განახლებულია რეაგირების დროის და ხარისხის გამჭვირვალობა უკუკავშირების საფუძველზე.<br>• გაზრდილია მომხმარებლის მიერ გაცემული უკუკავშირის აღიარება და მისი გამოყენება საწარმოო პროცესში. | **სტრატეგიული განვითარების კოორდინატორი**<br>**პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი** |
| 3.2. | ადმინისტრაციული სერვისების განვითარება | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | • გაუმჯობესებულია ადმინისტრაციული სერვისების წვდომა და ხარისხი მომხმარებელთან (სტუდენტები,მსმენელები, პერსონალი). | დირექტორი |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | • დამატებულია ახალი ან ოპტიმიზებული სერვისები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტებისა და თანამშრომლების საჭიროებების სწრაფ გადაწყვეტას.<br>• გაზრდილია მომსახურების დროულობა და ეფექტურობა ადმინისტრაციულ პროცესებში.<br>• გაუმჯობესებულია ადმინისტრაციული პროცესების ციფრული მხარდაჭერა (ონლაინ მომსახურებები, ელექტრონული განაცხადები).<br>• გაზრდილია კმაყოფილების დონე ადმინისტრაციული სერვისების მომხმარებლებში (კვლევების საფუძველზე). | |
| 3.3 | ინკლუზიური გარემოს განვითარება | ✱ | ს | ს | ს | ს | ს | ს | • დამატებულია ინკლუზიური მიდგომები სასწავლო პროცესში, რომლებიც გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის.<br>• გაუმჯობესებულია ფიზიკური და ციფრული გარემოს ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.<br>• შექმნილია შესაბამისი სერვისები და მხარდაჭერის მექანიზმები ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად.<br>• გაზრდილია ინკლუზიური სწავლების მეთოდების გამოყენება პედაგოგების მიერ.<br>• გაუმჯობესებულია სტუდენტების და პერსონალის ცნობიერება და ერთიანობა ინკლუზიური საზოგადოების შექმნაში. | • დირექტორი<br>• სასწავლო პროცესის მენეჯერი<br>• ფინანსური და მატერიალური რესურსების მენეჯერი |
| 3.4 | პროფორიენტაციისა და დასაქმების ხელშეწყობა | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | ✱ | • განახლებულია პროფორიენტაციის პროგრამები, რომლებიც ემსახურება სტუდენტების კარიერულ განვითარებას და მათ შრომის ბაზარზე წარმატებულ ადაპტაციას.<br>• გაზრდილია დასაქმების შესაძლებლობების რაოდენობა სტაჟირებისა და სამსახურის დაქირავების მიმართულებით.<br>• შექმნილია მჭიდრო პარტნიორობები კომპანიებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმების პროცესს.<br>• განმახორციელებელია პროფესიული უნარების შეფასება და განვითარება, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ კვალიფიკაციას.<br>• გაზრდილია სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი დასრულების შემდეგ, მათ შორის პრაქტიკაზე და კურსის განმავლობაში | • დირექტორი<br>• პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი |

| სტრატეგიული მიზანი 4. საზოგადოებასთან ურთიერთობა და პროექტები | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ამოცანები | 2025 | 2026 | 2027 | 2028 | 2029 | 2030 | 2031 | შესრულების ინდიკატორი | |
| 4.1 | პარტნიორული ქსელის გაფართოება და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება | * | * | * | * | * | * | * | • გაფორმებულია ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;.<br>• გაზრდილია საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის აქტიურობა, მათ შორის ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.<br>• გაუმჯობესებულია გაცვლითი პროგრამების და საერთაშორისო სტაჟირებების შესაძლებლობები სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის.<br>• შექმნილია თანამშრომლობის ახალი ფორმატები, როგორიცაა საერთაშორისო კონფერენციები, სამუშაო ჯგუფები და შემოქმედებითი პროექტები.<br>• გაზრდილია საერთაშორისო გამოცდილების მიღების დონე როგორც სტუდენტებში, ისე პერსონალში. | • დირექტორი<br>• სტრატეგიული განვითარების კოორდინატორი<br>• პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი |
| 4.2 | პროფესიული, შემოქმედებითი და კულტურული პროექტების განხორციელება | * | * | * | * | * | * | * | • განხორციელებულია ახალი პროფესიული და შემოქმედებითი პროექტები, რომლებიც ასახავს სასწავლო პროგრამების განვითარებას და სტუდენტების უნარების გაუმჯობესებას.<br>• გაზრდილია კულტურული ღონისძიებების და აქტივობების რაოდენობა, რომლებიც ემსახურება სტუდენტების და საზოგადოების კულტურულ და შემოქმედებით განვითარებას.<br>• შექმნილია აქტიური პარტნიორობები კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმომადგენლებთან.<br>• გაუმჯობესებულია სტუდენტების ჩართულობა პროფესიულ და შემოქმედებით პროექტებში, მათ შორის სტაჟირებების, გამოფენების და კონკურსების საშუალებით.<br>• გაზრდილია შემოქმედებითი და კულტურული პროექტების გავლენა საზოგადოებაზე და სტუდენტების კავშირში საზოგადოების განვითარების მიმართულებით. | • პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი |
| 4.3 | სტუდენტური ინიციატივების წახალისება და ექსტრაკურიკულური | * | * | * | * | * | * | * | • გაუმჯობესებულია სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების და მხარდაჭერის სისტემები, რომლებიც წაახალისებს შემოქმედებით და ინოვაციურ პროექტებს.<br>• დამატებულია ახალი ექსტრაკურიკულური აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების | • პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის და საზოგადოებასთან |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პროექტების განხორციელება | | | | | | | | პიროვნული და პროფესიული განვითარების მიმართულებით.<br>• გაზრდილია სტუდენტების ჩართულობა სოციალურ, კულტურულ და სპორტულ პროექტებში, რომლებიც ხელს უწყობს კოლეჯის მიკრო-სამეგობრო გარემოს ჩამოყალიბებას.<br>• შექმნილია სპეციალური პროგრამები სტუდენტების ინიციატივების რეალიზაციისთვის (გამოფენები, კონკურსები, კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებები).<br>• გაზრდილია სტუდენტების მიერ ორგანიზებული ექსტრაკურიკულური აქტივობების რიცხვი და მათი გავლენა კოლეჯის საზოგადოებაზე. | ურთიერთობის მენეჯერი |
| 4.4 | აკადემიის პოპულარიზაცია/საიმიჯო ღონისძიებების განხორციელება | * | * | * | * | * | * | * | • გაუმჯობესებულია აკადემიის ცნობადობა და ხილვადობა მედიაში და სოციალურ ქსელებში.<br>• დამატებულია ახალი საიმიჯო ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს აკადემიის პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბებას (მაგალითად, კონფერენციები, ფორუმები, საჯარო ლექციები).<br>• გაზრდილია აკადემიის ბრენდის ცნობადობა და მისადაგება შიდა და საერთაშორისო ბაზარზე.<br>• შექმნილია თანამშრომლობა მედიასთან და სოციალურ მედიასთან, რაც უზრუნველყოფს აკადემიის აქტიური პრომოციის საშუალებას.<br>• გაზრდილია სტუდენტების და პოტენციური სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც ინტერესდებიან აკადემიის პროგრამებით და ღონისძიებებით | • დირექტორი<br>• პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი<br>• სტრატეგიული განვითარების კოორდინატორი |